დასკვნა:**დ05. 3724109001**
თარიღი:**18/04/2024**

დასკვნა

„საქართველოს გოეთეს ინსტიტუტსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ - პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „საქართველოს გოეთეს ინსტიტუტსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება“ - პროექტი და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მონაწილეობა მიიღო საგრანტო კონკურსში „შემოქმედებითი კომპასი“ და მოიპოვა გრანტი 5000 ევროს ოდენობით. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით. (შემდგომში „პროექტი“).
2. „პროექტის მიზანია საქართველოს რეგიონებში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც გრანტების, ტრენინგების, შემოქმედებითი სივრცეების შექმნის და სექტორთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებით ხორციელდება.
3. გრანტის ხელშეკრულება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ - ფარგლებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღრიცხვის განხორციელების მხარდაჭერის შესახებ“ შედგენილია მეთოდურად გამართულად და იგი სრულად შეესაბამება მონაწილე მხარეს შორის მსგავსი ტიპის ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნებს. შესაბამისად, მერიის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლი მე-5 და მე-7 ნაწილების და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. კომისიამ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გადაწყვეტილება საქართველოს გოეთეს ინსტიტუტსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ - ფარგლებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი